საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართი, პუნქტი 4.3 ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2-მე-4, მე-8, მე-10 პუნქტების, ,,სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის № 791 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 იანვრის № 10 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2015 განკარგულების, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2022 წლის 07 ნოემბრის N640/სა ბრძანების და 2022 წლის 07 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს ბალანსზე რიცხული, ერთი ერთეული ავტომანქანა FORD FOCUS (სახელმწიფო ნომერი SS014DD, ავტომანქანის საიდენტიფიკაციო ნომერი WF04XXGCC4HA06173, ტექ. პასპორტის ნომერი AQ0359218 (საბალანსო ღირებულებით 14300 ლარი)), აღნიშნული ავტომანქანის 4 ერთეული ზამთრის საბურავი (Riken 215/55R16 97H Snowtime B2, საერთო საბალანსო ღირებულებით 452 ლარი (ერთი ერთეულის საბალანსო ღირებულება 113 ლარი)) და ამავე ავტომობილის 4 ერთეული ზაფხულის საბურავი (Petl. 215/55R16 IMPERIUM PT515 TL, საერთო საბალანსო ღირებულებით 596 ლარი (ერთი ერთეულის საბალანსო ღირებულება 149 ლარი)), გადაეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ.